საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ხუთშაბათი, 24 ივლისი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 163

# ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

ღრმად დამწუხრებულნი: ძმები ვლადიმერ და ქიშვარდი, ძმის შვილები: ვალოდია, სევერიანე, ოტია, გალაქტიონი- გოგია, კოლია, მინიკო, მიტუშა, კატუშა, ქოქოლა, ციცარონა, თამარი და ლიუდმილა, რძლები: კატო, ელენე, ოლღა, თამარი და ვერა, და პუპი, სიძე თედორე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 24 ივლისს სად. ნატანებში გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი

ფოტინე მიტოს ასულის თავართქილაძის

სულის მოსახსენებლათ. (3—3)

თავზარდაცემული გრიგოლ დიანოსის ძე დოლიძე შვილებითურთ ამით აცნობებს ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ მან 20 ივლისს სამუდამოდ დაჰკარგა თავისი ძვირფასი მეუღლე.

თეოდორე დოლიძისა ჯიბლაძის ასული

დაკრძალვა მოხდება 24 ივლისს დღით ხუთშაბათს 10 საათზე შუა ამაღლების ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე. (2—2)

გულდათუთქული დედა ფედოსი ჯიბლაძისა და მარია ჯიბლაძე, აცნობებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 20 ივლისს შუა ამაღლებაში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი პირველის შვილის და მეორეს და

თეოდორე დოლიძის ჯიბლაძის ასული

რომლის დაკრძალვა მოხდება 24 ივლისს დილის 10 საათზე შუა ამაღლების ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე. (2—2)

გულდამწვარი ვერა ალმასხანის ასული, ნატალია სიმონის ასული, თამარა, შალიკო, ოლია და ალიკო აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 21 ივლისს ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე, მეორესი შვილი, დანარჩენების მამა

მიხეილ (მიშა) ნიკოლოზის ძე მარჯანიშვილი

ცხედრის გამოსვენება მოხდება 25 ივლისს ნაშვადღევის 3 ს. თავისუფლების (ერევნის) მოედანი სასტუმრო „კავკაზიდან“ წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

საქ. წითელი ჯვრის მთავარი გამგეობა მწუხარებით აუწყებს ნაცნობებს და მეგობრებს ძვირფასი თანამოსამსახურის ბაკტერიოლოგ

ივანე ივანის ძე შუკევიჩის

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება დანიშნული 24 ივლის დღის 12 საათზა რკინის გზის საავათმყოფოდან.

## დამატებითი არჩევნები

თავის დროზე დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ საქართველოს რესპუბლიკის განაპირა ადგილებს. ზოგიერთს ამათგანს გეოგრაფიულმა პირობებმა შეუშალა ხელი (სვანეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი), ზოგიერთს კი პოლიტიკურმა გარემოებებმა (ბორჩალო, მესხეთ-ჯავახეთი). 10 აგვისტოს ამ ადგილებში დანიშნულია დამატებითი არჩევნები. ამ არჩევნების მნიშვნელობა იმით არ განიზომება, თუ რომელი პარტია მიუმატებს ამ ადგილებიდან 1—2 დეპუტატს. როგორც უნდა დასრულდეს საარჩევნო კამპანია, ეს ვერ შესცვლის ძალთა განწყობილებას დამფუძნებელ კრებაში. ამ მხრივ ყველაზე ნაკლებ სოც.-დემოკრატიული პარტიაა დაინტერესებული არჩევნების შედეგებით: 109 დეპუტატს რომ ერთი დააკლდეს, ან ერთი მოემატოს, ეს ამ პარტიის ფრაქციის მოქმედებაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა მომავალ არჩევნებს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს არა იმ შედეგების მხრით, რომელსაც ის მოგვიტანს, არამედ პირველ ყოვლისა თვით საარჩევნო კამპანიის მხრით. მომავალი საარჩევნო კამპანია დაიწყება (და, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, უკვე დაიწყო) უმთავრესად იმ ადგილებში, რომლებიც სულ რამდენიმე თვეა ჩვენს რესპუბლიკას დაუბრუნდა, რომელთა ცხოვრებაც ჯერ კიდევ წესიერების კალაპოტში ვერ ჩამდგარა და რომელთა მცხოვრებლებიც ჯერ-ჯერობით ელოდებიან საქართველოს რესპუბლიკაში შესვლის შედეგებს, კარგად არ არიან გაცნობილნი საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან, მის საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობასთან. ყველა ის პარტიები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ მესხეთ ჯავახეთი, ბორჩალო და სხვა მხარეები რაც შეიძლება მეჯად დაუახლოვდენ საქართველოს, უნდა ეცადონ, რომ საარჩევნო კამპანია ჩატარდეს რაც შეიძლება კულტურულ პირობებში, რომ ამ კამპანიიდან გამოიდევნოს ყველაფერი ის, რაც მის უკულტუროხის ბეჭედს ასობს, ყველა წვრილმანი კინკლაობა, უპასუხისმგებლო დემაგოგია, თავდაუჭერელი აგიტაცია, რაიც ასე სჩვევია ჩვენს საარჩევნო კამპანიას. ჩვენმა პარტიებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ აგიტაციას წმინდა იდეიური ხასიათი ჰქონდეს, რომ იგი წარმოადგენდეს საპროგრამო ლოზუნგების ერთმანეთთან დაპირდაპირებას, მათ განმარტებას და სხვა არაფერს.

ნუ დავივიწყებთ, რომ განაპირა ადგილების მცხოვრებთათვის ეს პირველი პოლიტიკური არჩევნები იქნება, რომ ისინი ამ არჩევნების საშუალებით უნდა ეზიარონ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას, პირველად უნდა განახორციელონ თავისი მოქალაქეობრივი უფლება. მათ უნდა იგრძნონ, რომ არჩევნებში მონაწილეობით ისინი დიდს სახელმწიფოებრივს აქტს ასრულებენ. ამიტომ საჭიროა, რომ თვით არჩევნების გარეგანი სახე, თვით საარჩევნო კამპანიაც ისე იყოს მოწყობილი, რომ ჩვენი რესპუბლიკის ახალ მოქალაქეებს ეს მნიშვნელობა ვაგრძნობინოთ, რომ მათ არჩევნებში დაინახონ არა წვრილმანი ცილაობა, არამედ წმინდა მოქალაქეობრივ აქტის შესრულება.

სამწუხაროდ, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მესხეთ-ჯავახეთში ზოგიერთ პარტიებს უკვე შეუტანიათ საარჩევნო კამპანიის ისეთი ფორმები, რომლებიც მხოლოდ ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენენ ჩვენს რესპუბლიკის ახლად შემოერთებულ მოქალაქეებზე და მათ დაახლოვების საქმეს რესპუბლიკასთან მხოლოდ ხელს შეუშლის. საჭიროა ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებსაც მართლა გული შესტკივათ ჩვენი რესპუბლიკისათვის, ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიაქციონ.

## პრესა

„ამხანაგორში“ მოთავსებულმა რეზოლიუციამ, რომელიც ბერნის და ამსტერდამის სოციალისტურ კონფერენციებზე გამოუტანიათ საქართველოს და სომხეთის ურთიერთობაზე, ნაც.-დემოკრატებს სალაპარაკო საგანი მისცა. რეზოლუციებში მოხსენებულია ის შეთანხმება, რომელიც ბერნის კონგრესზე მოუხდენია საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დელეგატს დაშნაკცუთიუნის დელეგატთან საქართველო-სომხეთის სადავო ადგილების შესახებ.

„ამ წერილში სომხეთის ახირებულ პრეტენზიებს არ შევეხებით, ეს არც ისე საინტერესოა მაინც და მაინც.

ჩვენ გვინდა გავიგოთ: ვინ დაავალა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მიერ გაგზავნილ დელეგატებს შეუთანხმდნენ სომხებსა, თუ სხვა ერების წარმომადგენლებს საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის განსაზღვრაში? რა უფლებით ურიგდებიან სოციალ-დემოკრატები დაშნაკელებს სადავო საზღვრების საკითხებში და იცის თუ არა საქართველოს კანონიერმა მთავრობამ, რომ საზღვარგარედ ამ სახიფათო გამწვავებულ ჟამს კერძო ჯგუფები ითვისებენ სახელმწიფოებრივ უფლებებს და საქართველოსათვის აშკარა საზარალოდ მოქმედებენ“.

„საქართველოს“ მესვეურს, როგორც ეტყობა, მენშევიკების წინაალმდეგ გაბოროტებამ და მიზეზიანობამ დავთრები ისე აურია, რომ უბრალო ფაქტებში ველარ ერკვევა. რა მოხდა ბერნის და ამსტერდამის კონფერენციაზე? საქართველოს სოც.-დემ. პარტიის წარმომადგენელი შეუთანხმდა დაშნაკცუთიუნის წარმომადგენელს, სადავო საკითხები ამა და იმ პირობებში გადაეჭრათ. არც სოციალ-დემოკრატიაა საქართველოს რესპუბლიკა, არც დაშნაკცუთიუნი—სომხეთის რესპუბლიკა. მათი შეთანხმება არ წარმოადგენს რაიმე სახელმწიფოთა შორის აქტს. ესენი მხოლოდ პარტიები არიან და ნუ თუ „საქართველო“ ამ პარტიებს უფლებას ართმევს შეიმუშაონ ისეთი პოლიტიკური ზომები, რომელიც მათ საჭიროთ მიაჩნიათ, ან ერთმანეთს შეუთანხმდენ ამა თუ იმ ზომების გატარებაში? საკვირველი პრეტენზიებია! სხვა კითხვაა, თუ „საქართველოს“ ეს ზომები არ მოსწონს, მაგრამ მას შეუძლიან გაილაშქროს მათ წინაალმდეგ, როდესაც ეს ჩვენს სახელმწიფოს წინაშე დადგება, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური საკითხი.

## ფრონტის დღე

### თფილისიდან ბაქომდე.

ადერბეიჯანში არა თუ ხალხი შეგვხვდა აღფრთოვანებით და სიხარულით, არამედ—თვით ადმინისტრაციის წარმომადგენლებმაც დიდის ამბით მიგვიღეს.

ჯერ კიდევ აქსტაფაშივე ადგილობრივი „ოხრანის“ უფროსი, ახალგაზრდა იბრაგიმ-ბეი-და ჯაბარ-ზადე დიდის ამბით დაგვიხვდა. დღესასწაული მოგვილოცა. ბაქომდე დეპეშა მისცა—მატარებელი არსად შეაჩეროთო და თითონაც გამოგვყვა ბაქომდე და სიტყვებსაც ამბობდა მიტინგებზე. გზაში მან დიდი სამსახური გაგვიწია.

თვით ბაქოში შეგვხვდენ ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელნი.

ბაქოში შეგვხვდა აგრეთვე ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციების ორი წარმომადგენელი. გვაძლევენ წინადადებას, რომ დავრჩეთ მეორე დღემდე, რადგანაც მათ გვიან გაიგეს ეს დღესასწაული და ვერ შეგვეგებენ ისე, როგორც ეს სურდათ და სხ. გვთხოვეს აგრეთვე ქალაქში შესვლა, შეგვპირდენ მიტინგის გამართვას და სხ. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, სამწუხაროდ ეს არ მოხერხდა.

მართალია, როგორც მატერიალურად, ისე პოლიტიკურადაც ბევრი რამ დაგვაკლდა, მაგრამ ვიმეორებ, რაც იყო, ისიც საყურადღებო და ღირს-აღსანიშნავია.

ორიოდე სიტყვა თვით ბაქოზე.

შესანიშნავი წესრიგია. გარეგანი შეხედულებით და ზერელე დათვალიერებით: სუფთა ქუჩები, მშვენივრათ განათებულნი, ბაღებში სეირნობა, მუსიკა, წეს-რიგი; სიძვირე კი ჩვენსაზე უფრო დიდია, გარდა პურისა და ხორცისა. პური იყიდება ხუთ მანეთად გირვანქა, ხორცი—10 მანეთად.

ადმინისტრაცია ძალზე მკაცრია. განსაკუთრებით სასტიკი წესრიგია რკინის გზაზე.

ერთი წუთი რომ მატარებელი შევაჩეროთ უსაბუთოთ, ვაი ჩვენი ბრალიო, გადმომცა მოხელემ.

ყველა მოხელე თავის ალაგზეა. სამსახურს უფრთხილდება, ეშინია, ჰკრთის... მატარებელში უბილეთოთ ვერავინ შევა და თუ შევა, წამყვანიც და წამსვლელიც სასტიკათ დაისჯება...

მაგრამ დავსტოვოთ ბაქო და გამოვბრუნდეთ ისევ ჩვენი სადღესასწაულო მატარებლით უკან თფილისისკენ.

განზრახ ისეთი მარშრუტი დავიჭირეთ, რომ იმ სადგურებზე, საცა ღამე მოგვიხდა გავლა,— ეხლა დღე გამოგვევლო. დიდის ამბით გვიხდებოდენ... სადგურებზე აუარებელი ხალხი იყო თავმოყრილი. სწარმოებდა ცხენების მობილიზაცია და ამ გარემოებით სავსებით ისარგებლეს ჩვენმა, თათრულის მცოდნე ამხანაგებმა და გასწიეს შესაფერი აგიტაცია. უკან ჩამოვლაზე განჯაში კიდევ უკეთესად დაგვიხვდნენ. ეს სადგური მუდამ იყო და ახლაც არის მუშათა მოძრაობის ცენტრი. დიდი მიტინგის და ერთი საათის გაჩერების შემდეგ, მატარებელი თფილისისაკენ გამოემგზავრა.

ს. დოლიძე.

——

### (კახეთის რკინის გზაზე).

19 ივლისს, დილის 10 ს. კახეთის მატარებელი დროშებით და მცენარეულობით მორთული გავიდა კახეთისაკენ.

საგარეჯო, ბადიაური, მელაანი, გურჯაანი, აი მთავარი სადგურები, სადაც ჩვენს ფულების ამკრეფ ქალ-ვაჟებს უნდა გამოეჩინათ ენერგია და ამ სადგურებმაც გაამართლეს მოლოდინი—შეწირულება მოდიოდა უხვად.

შიგ მატარებელში ყველა ვაგონები ჩამოვიარეთ და ერთმა ამხანაგთაგანმა სიტყვით მიმართა მგზავრებს, აუხსნა ფრონტის დღის მნიშვნელობა და მოუწოდა გამოეღოთ წვლილი. მიუხედავათ იმისა, რომ ბევრ მგზავრის მკერდს ამშვენებდა პატარა ფრონტის დღის ნიშნები, რამდენჯერმე იღებდენ წვლილს და ამხანაგის სიტყვებს ვაშას ძახილით და „გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან ჯარს და გვარდიას“-ო, გვიპასუხებდენ...

გურჯაანში გავნაწილდით სამ ჯგუფად: ერთი წავიდა წნორის წყალისაკენ, მეორე—თელავში და მესამე—დარჩა გურჯაანში.

იმ ღამეს წარმოდგენა იყო გურჯაანში. დაწყების წინ ჩვენმა ამხანაგმა სიტყვით მიმართა საზოგადოებას და მოუწოდა დახმარებისათვის. საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ორატორი. წარმოდგენის შემოსავალი, ვგონებ, 1500 მ. დაგვპირდენ ფრონტისთვის.

კახეთის საზოგადოება გულმხურვალეთ შეგვხვდა და საქმით დაამტკიცა თანაგრძნობა და დახმარება.

როგორც ფრონტის მომწყობ მთავარ კომიტეტში ირკვევა, მარტო კახეთის რკინის გზას გაუღია 10,000 მან. და თითქმის არც ერთ ყულაბას დღემდე არ მოუცია იმდენი, რამდენიც აღმოჩნდა კახეთის მე-8 № ყულაბაში—2,500 მ-დე.

დ. ქარ—ძე.

## დამფუძნებელი კრება

22 ივლისის სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი სახელმწიფო ხაზინიდან 120,160 მან. გადადებისა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დასახმარებლათ. შემდეგ დახურულ კარებში მეორეჯერ განხილულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტები მხედრობის საქმეების მოწესრიგების შესახებ. დასასრულ ღია კარებში მეორეჯერ განხილულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტი მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან ცენტრალურ სასურსათო კომიტეტის დაარსების შესახებ. ზოგადათ გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ღ ე ს

ახალგაზრდა ოსმალთა დევნის გამო პარტიის გამოჩენილი მოღვაწენი მაკედონიაში და გერმანიაში გადასახლდნენ. ოსმალეთში პარტია საიდუმლოდ მუშაობს. პარტიას, მოკავშირეების აზრით, კავშირი აქვს გერმანიის სპარტაკელებთან და რუსეთის ბალშევიკებთან.

გერმანული პრესის ცნობით, მოკავშირეთა სარდლობას ჯერ კიდევ არ გაუშვია სალონიკიდან გერმანიის შავი ზღვის ჯარი.

აღმოსავლეთი გალიცია მოკავშირეებმა პოლონეთს შეუერთეს და იმედი აქვთ, რომ რუსეთი ამას შემდეგ ველარ შეუკავშირდება ვერც გერმანიას, ვერც უნგრეთს და ასე ბალშევიზმისთვის გზა შეკრული იქნება ევროპისაკენ.

პოლონეთის სეიმის აზრით, აუცილებელია პოლონეთში დიდი მამულების ჩამორთმევა მცირე მიწის მფლობელთა სასარგებლოთ.

სამხრეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარმა კონსტანტინოგრადი აიღო. ურალის ფრონტზე საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს.

ხილულ იქნა აგრეთვე კანონ-პროექტი საოსტატო სემინარიის დამატებითი შტატის და გზათა დეპარტამენტის შესახებ.

## მოძრავი სკოლები

ფრიად საჭირო და დროს შესაფერი აზრი მოსვლია თფილისის მაზრის ერობას: მას გადაუწყვეტია მომავალ სასწავლო წლიდან თავის მაზრაში მოაწყოს ეგრედ წოდებული მოძრავი სკოლები, რაც ჩვენი ცხოვრებისათვის ახალ რამედ უნდა ჩაითვალოს...

მოძრავი სკოლის მიზანი იქნება შეასწავლოს წერა-კითხვა დიდ-პატარას იმ პატარა სოფლებში, რომელთა კომლების რიცხვი 6—10 არ აღემატება და რომლებიც არიან გაფანტულნი მაზრის მივარდნილ ადგილებში, სადაც სკოლის გახსნა ეხლავე კი არა, მომავალშიაც ძალიან გაძნელდება...

მოძრავ სკოლას იმიტომ ეწოდება ასეთი სახელი, რომ იგი იმოძრავებს, ივლის ერთი პაწია სოფლიდან მეორეში. როდესაც მასწავლებელი შეასწავლის ერთ ადგილას წერა-კითხვას, დაუტოვებს მოწაფეებს წიგნებს, რვეულებს და სხვ. და გადავა მეორე სოფელში ამავე მიზნის მისაღწევად; მეორიდან მესამეში და სხვ...

ამისთანა მასწავლებელს წერა-კითხვის სწავლების, გარდა მნიშვნელობა ექნება როგორც სასარგებლო მოსაუბრეს იმათთვისაც, რომელნიც მასთან წერა-კითხვას არ ისწავლიან.

მთელი მაზრისათვის ერობა ჯერ-ჯერობით იწვევს სამ ასეთ მასწავლებელს, რომელთაც თვეში მიეცემათ ათას-ათასი მანეთი (1.000 მან), ბინა, გათბობა და ვანათება. გარდა ამისა მიეცემათ ფული იმ ხარჯის დასაფარავათ, რაც ერთი სოფლიდან მეორეში გადასვლის დროს მოუვათ...

ეს მუშაობა მეტათ სახალისოა ახალგაზრდა მასწავლებლისათვის, ვისაც გულწრფელათ უნდა ჭეშმარიტი სარგებლობა მოუტანოს სოფელს. ამიტომ, ვიმედოვნებთ, რომ ასეთი მასწავლებლების მსურველი ბევრი აღმოჩნდება ჩვენს პატარა რესპუბლიკაში. გ.

## უკანასკნელი ცნობები

**დენიკინელების შეპყრობა ფოთში.**

**ფოთი.** ივლის. 23. (საქ. კორ.) ადგილობრივმა მილიციამ შეიპყრო მთელი რიგი დენიკინის აგენტებისა: დადიანი, რომელიც თავს უწოდებს „სამეგრელოს უბრწყინვალეს მთავარს", სინსკი, პეტროვი და სხვანი. მათ აღმოაჩნდათ მიწერ-მოწერა მოხალისეთა ჯარის მთავარ სარდალთან. ყველა ამათ, გარდა დადიანისა, რომელიც სასამართლოს გადაეცემა, საქართველოს საზღვრებიდან გაძევება მოელის. (ს. დ. ს.)

**დაღესტანში.**

მოხალისეთა ლაშქარი დიდ შევიწროებას აყენებს დაღესტნის მშვიდობიან მცხოვრებლებს. ყაზახების მიერ ძარცვა-რბევას დასასრული არა აქვს. პარიზიდან მოვიდა ცნობა, რომ მთიელთა წარმომადგენლებმა ვილსონი ინახულეს, რომელსაც აუწერეს მთიელთა გაჭირვებული მდგომარეობა. ამერიკის მისიას დაევალა გაგზავნოს საანკეტო კომისია, რომელიც ადგილობრივათ გამოიკვლევს მთიელთა მდგომარეობას. ამერიკის წითელი ჯვრის საზოგადოებამ შეიტყო რა მთიელთა რესპუბლიკების დაპყრობა დენიკინის ჯარის მიერ, გაგზავნა თავისი წარმომადგენელი მაიორი დევასი მთიელთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

**ბალშევიკები კასპიის ზღვაზე.**

ამ ბოლო ხანებში კასპიის ზღვაზე ბალშევიკების გემები გაჩნდენ. 18 ივლისს ბაქოდან მიმავალ გემს „ლენქორანს" ბალშევიკების გემმა „დიმიტრი მილიუტინმა" სროლა აუტეხა. არც ერთი ყუმბარა არ მოხვდა „ლენქორანს". როგორც ირკვევა, ბალშევიკების გემები სისტემატიურათ დადიან ლენქორანიდან ასტრახანამდე.

**ბაქოს ბირჟაზე.**

21 ივლისს ბირჟაზე არავითარ ოპერაციებს არ ჰქონია ადგილი, რადგანაც ოლღას ქუჩას ორივე მხრიდან პოლიციამ ალყა შემოარტყა და დაუწყო კაფეში მყოფ ხალხს ჩხრეკა, პოლიცია ართმევდა სპეკულიანტებს რუსეთის ფულებს, ოქროს და ფასიან ქაღალდებს. ჩამორთმეულ ფულს სწერდენ საგანგებოთ დამზადებულ ქაღალდზე, პატრონნი აწერდენ ხელს ქაღალდს და პოლიცია ამის შემდეგ ანთავისუფლებდა მათ. ჩამორთმეული ფულები 4—5 მილიონ მანეთს აღემატება.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

23 ივლისი.

**ინგლისური პრესის ცნობები.**

მარშალი ფოში ლონდონიდან საჩქაროთ დაბრუნდა, რათა დაესწროს საზავო კონფერენციის იმ სხდომას, რომელზედაც იმსჯელებენ სერჟანტ მანჰეიმის მოკვლის გამო ბერლინზე დადებულ 1 მილიონ ჯარიმის გადახდაზე გერმანიის მიერ უარის განცხადებით შექმნილ მდგომარეობაზე. ყველა ზომები იქნება მიღებული, რომ შეთანხმება მოხდეს ფოშის ბრიუსელში წასვლამდე. ბრიუსელში ხუთშაბათს გაიმართება გამარჯვების დღესასწაული.

ამერიკულ წრეებში ფიქრობენ, რომ ამერიკის კომისია ფოშის გადაწყვეტილების მომხრე არ იქნება, რომ მანჰეიმის მკვლელობისთვის ჯარიმა გადაახდევინონ ბერლინს თუ არ დამტკიცდება, რომ მკვლელობა შედეგი იყო შეთქმულებისა, რომელშიაც მონაწილეობა მიუღიათ მთავრობასთან დამოუკიდებლობის მქონე პირებს.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ იაპონიის ელჩმა უარყო გერმანია იაპონიის ხელშეკრულების არსებობა. ამის საპასუხოთ ჩინეთის წარმომადგენლებმა საზავო კონფერენციაზე აღნიშნეს, რომ მათ არაფერი უთქვამთ ასეთ ხელშეკრულების არსებობის შესახებ, მაგრამ ამ მიზნით მოლაპარაკება კი იყო დაწყობილი.

დასავლეთ ევროპაში ბალშევიზმის გადასვლის უკანასკნელი საშუალება მოისპო მას შემდეგ, რაც მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა, რომ აღმოსავლეთი გალიცია პოლონეთს შეუერთდეს, რაც ოფიციალურად აუწყეს პარიზში უკრაინის დელეგაციას. ხსენებულ ტერიტორიაზე 5 მილიონი მცხოვრები და მრავალი მინერალური წყლებია. ამნაირად, პოლონეთის და რუმინეთის საზღვრები ერთიანდება და იხურება ის გასავალი, რომლითაც ლენინსა და ტროცკის შეეძლოთ უნგრეთში და იქიდან დასავლეთ ევროპაში გასვლა, პოლონეთს კი შეუძლია სამხედრო კავშირი შეჰკრას რუმინეთთან და ამნაირად განმარტოვებული დასტოვოს ბელაკუნი, რომლის ჯარიც, როგორც უკვე იყო ცნობა, სწრაფად მცირდება. პოლონეთ-რუმინეთის გაერთიანება, ეჭვი არაა, გააძლიერებს საფრანგეთის გავლენას აღმოსავლეთით, რადგან გაერთიანებული ორი პატარა ერი შესძლებს რუსეთისაგან თავის დაცვას. საფრანგეთი ყოველთვის განსაკუთრებით მეგობრულად ეპყრობოდა რუმინეთს, რომელსაც თავი მოქონდა საფრანგეთის კულტურასთან ზიარებით; მის ჯარში ფრანგი ინსტრუქტორები იყო და მის დიპლომატიას უმეტეს ნაწილად საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობდა.

ამას გარდა საფრანგეთმა თითქმის ოფიციალურად თავს იდვა რუმინეთის დაცვა ფრანგთაგან. ეხლა ბევრი იმ აზრისაა, რომ საფრანგეთის მთლიანობისა და ხელშეუხლებლობისთვის რეინის საზღვარს უფრო ნაკლები მნიშვნელობა ექნება, ვიდრე დანციგ-ბუქარესტის ხაზს. ისინი ამბობენ, რომ ამ საზღვარს მომავალში უდიდესი საფრთხე მოევლინება. აქეთკენ იქნება მიმართული გერმანიის შემტევი ძალა, როგორც კი ის წელს მოიმაგრებს და მოისურვებს რუსეთისაგან დახმარების მიღებას, და მხოლოდ ამის შემდეგ მიუბრუნდება დასავლეთს. ასეთი აზრისაა საფრანგეთის სამხედრო წრეები. ამიტომ საფრანგეთი განსაკუთრებითაა დაინტერესებული პოლონეთისა და რუმინეთის გაერთიანებით და აღმოსავლეთით მთლიანი საზღვრის შექმნით, რითაც საფრანგეთი აღწევს იმას, რასაც დიდი ხანია მოითხოვდა პარიზის კონფერენციაზე, სახელდობრ „სანიტარულ წრეს", რომელიც ბალშევიზმს ევროპაში არ შემოუშვებს და რუსეთს გერმანიას ჩამოაშორებს.

**ბალშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** ივლისის 22. **სამხედრო ცნობა.** (დასაწყისი არ არის მიღებული). **აღმოსავლეთის ფრონტი.** ურალსკის რაიონში, გურიევის გზატკეცილთან ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩელიაბინსკის რაიონში ჩვენმა ჯარმა ჩებარკული დაიჭირა და წინსვლას განაგრძობს ჩრდილოეთით, 25 ვერ. ჩვენ რამდენიმე ვერსით უკან დავიხიეთ. ეკატერინობურგ-ჩელიაბინსკის რკ. გზაზე ჩვენი ჯარი სადგ. მარგაიაშს უახლოვდება. ეკატერინობურგის რაიონში ტიუმენის რკ. გზის ჩრდილოეთით ჩვენ კუტიხარეკის გზაზე გამოვედით. **უკრაინის სამხედრო ცნობა.** ივლ. 21. კამენეც-პოდოლსკის მიმართულებით ჩვენ ვაპნიარკა დავსტოვეთ. ჩვენ სადგ. ჩებოზარკა დავიჭირეთ. **ტამბოვი.** ივლ. 21. ტამბოვის გუბ. და მაზრის საბჭ. პროლეტარიულ ორგანიზაციების შეერთებულმა სხდომამ, მოისმინა რა ლენინის დეპეშა ქალაქში და ცენტრში დიდი შიმშილობის შესახებ, დაადგინა თითეულ პურის კერძიდან გირვანქის მეოთხედი გადასდონ. **კიევი.** ივლის. 21. პოლტავის ფრონტის ახლო მახლო მდებარე ადგილებიდან იუწყებიან, რომ მცხოვრებნი რევოლიუციონურად არიან განწყობილი. დენიკინის ზურგში მცხოვრებლები აჯანყებას ახდენენ. პარტიზანული რაზმების რიცხვი იზრდება. **კიევი,** ივლის. 21. სამ. ცენ. კომიტეტმა ფარული ორგანიზაცია აღმოაჩინა. **კიევი,** ივლის. 21. ც. ა. კომიტეტის დადგენილებით საბჭოთა ყველა დაწესებულებებში 8 საათის სამუშაო დღე შემოიღეს. **სარატოვი,** ივლის. 21. კამიშინის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბალიკლიის სოფლების დაჭერის დროს მტერს დიდი ზარალი მიაყენა. წამოვიღეთ ზარბაზნები, ტყვიის მფრქვეველები და მრავალი ქონება. გაქცეული მტრის დევნა გრძელდება. **სამარა,** ივლის. 17. ზლატოუსტში სხვა დავლასთან ერთად ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 2 მილიონი ფუთი რკინა და ფოლადი, 1 მილიონი ფუთი თუჯი და ყუმბარები. **ვაპრიანკა,** ივლის 16. კიშინოვში გარნიზონმა მუშებთან ერთად გამართა მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს რკინის გზის მუშებმა და მოწაფეებმა. **კიევი,** ივლის. 21. უკრაინის მენშევიკების მთავარმა კომიტეტმა მოკავშირეთა სახელმწიფოების სოციალისტებს მიმართა მოწოდებით, სადაც მოუწოდებს რუსეთის რევოლიუციის დასაცავად გამოსვლისთვის. **კიევი,** ივლის. 21. ხარკოვში შავრაზმელთა გაზეთები „რუსკაია ჟიზნ" და „ვეჩერნია ვრემია" განახლდა. **ადესა.** 17 ივლისი. სტამბოლიდან მოსული ცნობით, „ერთობის და პროგრესის პარტიის" ცენტრ. კომიტეტში მოკავშირეების აგენტებმა ჩხრეკა მოახდინეს, ხელში ჩაიგდეს საბუთები და მიწერ-მოწერა. პარტიამ ფარულათ დაიწყო მოქმედება. „ახალგაზრდა ოსმალების" ერთი ნაწილი გადასახლდა მაკედონიაში, სადაც ოსმალეთში მოკავშირეების ძალადობის წინააღმდეგ ქადაგობენ, მეორე ნაწილი გაიქცა გერმანიაში, სადაც საკუთარი გაზეთი გამოსცა. ოსმალეთში ახალგაზრდა ოსმალთა დევნამ ფართე ხასიათი მიიღო. მათ გერმანელ სპარტაკელებთან ფარულ დამოკიდებულებას და ბალშევიზმისადმი თანაგრძნობას სწამებენ. **ლიონი.** ივლ. 21. შიშობენ, რომ ოსმალეთის მძიმე საკითხმა საქმე არ გაართულოს, სანამ ამერიკის სენატი საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციას ახდენს და დათანხმდება სტამბოლის, კალიკიას და სომხეთის მართველობის მანდატის მიღებაზე. მცირე აზიის გამო იტალიელებსა და ბერძნებს შორის უთანხმოება იბადება. ფრანგული გაზეთები მოითხოვენ, რომ საფრანგეთმა სირიაში თავისი ძალა გააძლიეროს შეიძლება ინგლისის ინტერესების საწინააღმდეგო აღმოჩნდეს. თუ შეერთებული შტატები სტამბოლის მართველობას თავის თავზე არ მიიღებს, ქალაქი სულთანის ხელში დარჩება, იმიტომ რომ მას ევროპის სახელმწიფოები ერთი მეორეს არ დაუთმობენ. **პარიზი.** 21 ივლ. პოლონეთის სეიმმა განაცხადა, რომ აუცილებელია პოლონეთში დიდი მამულების ჩამორთმევა, მცირე მიწის მფლობელთა სასარგებლოდ. არავის არა აქვს უფლება, რომ ერთ ფერმაზე და 180 ჰეკტარამზე მეტი მიწა დაიტოვოს. **ოდესა.** 18 ივლის. სტამბოლში მყოფი რუსის გენერლები, ადმირალები, და ადმინისტრატორები ნოვოროსიისკში გადმოვიდნენ. **ლიონი.** 20 ივლ. საზავო კონფერენციამ ავსტრიის ხელშეკრულების საქმე დაასრულა. ევროპიდან ოსმალების განდევნის საკითხის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიუღიათ იმ მაჰმადიანთა პოზიციის გამო, რომლებიც ინგლისელების ხელქვეითნი არიან. შესაძლებელია, რომ სტამბოლი ხალიფატის სატახტო ქალაქათ დარჩეს. ოსმალეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკურ უფლებას სრულიად კარგავს. **კიევი.** ჩვენ ბრძოლით კონსტანტინოგრადი დავიჭირეთ. ხელში ჩავიგდეთ დიდძალი ქონება. **პეტერბურგი,** 20 ივლისი. ბალტიის ფლოტის მეზღვაურებმი ინგლისის და საფრანგეთის მეზღვაურებს მიმართეს შემდეგის მოწოდებით: იტალიის კომუნისტების წინადადებით, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მუშებმა 21 ივლისისათვის გაფიცვები დანიშნეს. ისინი თავის მთავრობისაგან მოითხოვენ: არ გაბედოთ რუსეთის და უნგრეთის საქმეებში ჩარევა. დახმარება არ გაბედოთ რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერების, არ გაბედოთ მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ მოქმედება. გაუმარჯოს მთელ ქვეყნებში მუშათა ძალა-უფლებას. **სარატოვი,** 20 ივლისი. კოლჩაკის არმია სწრაფად მცირდება. გლეხობა როტობით გადმოდის ჩვენ მხარეზე ტყვიისმფრქვეველებით და იარაღით. ახალგაზრდობა წითელ ჯარში ეწერება. **კიევი,** 21 ივლისი. ობუხოვის დაჭერის დროს ხელთ ვიგდეთ ყაჩაღ ზელიონის მთელი შტაბი.

**გერმანული პრესის ცნობები.**

„ლოკალან ცაიგერ"-ი იუწყება, რომ ხუთშაბათს ამერიკის საოკუპაციო ჯარის ერთი ნაწილი რეინის ოლქიდან გავა.

პრუსიის სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ სალონიკიდან მიღებულ ცნობებით, მოკავშირეთა სარდლობის წერილობითი და ზეპირ დაპირებათა წინააღმდეგ გერმანიის შავი ზღვის ჯარს არ უშვებენ და მათ ისე ეპყრობიან, როგორც მოღალატეებს. შემოღებულია წერილების ცენზურა, ამ წერილებში გადაკვრით იუწყებიან, რომ მათ შორის მრავალი ავადმყოფობაა და ციებ-ცხელებაც. მედიკამენტების სიმცირის გამო წითელმა ჯვარმა განსაკუთრებული კომისია გაგზავნა.

პრუსიის ეროვნულ ყრილობაში გერმანიის დემოკრატიულმა პარტიამ სურვილი გამოსთქვა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ლექციები იკითხებოდეს პოლიტიკურ საკითხებზე.

## ახალი ამბები

**რაჭა-ლეჩხუმში და დუშეთში.** ამ ადგილებიდან ცუდი ამბები მოდის. წინათაც და ახლაც ერთი და იგივე ცნობა მოდიოდა, შიმშილობა უკვე დაიწყოვო, ეს ადგილები როგორც ვიცით ჩვენი რესპუბლიკის მოსაზღვრე კუთხეებია ჩრდილოკავკასიასთან. დენიკინის გაბატონებამდე ასე თუ ისე საკმაო სურსათს თუ ვერა, ნაწილს მაინც იღებდნენ აქედან. ახლა კი, ეს შესაძლებლობა მოსპობილია. ამიტომ საჭიროა ამ ადგილებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს და ყოველგვარი ზომები იქნას მიღებული, რათა ხალხს დროზე მიეწოდოს აუცილებელი სურსათი. უპირველესად ყოვლისა საჭიროა მთავრობის დახმარება, მაგრამ არც საზოგადოებრივი ორგანიზაციები უნდა შეხვდნენ ამ მოვლენას გულზე ხელ-დაკრეფილნი.

✦ **დამფუძნებელ კრების** ცენტრალურ საარჩევნო კომისია აცხადებს, რომ მიუხედავათ აღძრულ შუამდგომლობისა არჩევნების 24 აგვისტოსთვის გადადების შესახებ, თიანეთის არჩევნები მაზრაში მოხდება, როგორც იყო დანიშნული, ე. ი. 10, 11 და 12 აგვისტოს.

✦ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** სახელმწიფო უნივერსიტეტმა მომავალ სამეცადინო წლისთვის რუსეთიდან მიიწვია ნოვოჩერკასკის პოლიტეხნიკურ-ინსტიტუტის პრივატ-დოცენტი მინერალოგი ალ. თვალჭრელიძე, რომელიც უკვე ჩამოვიდა საქართველოში.

**გამოცდები.** უნივერსიტეტში შემდეგ კურსზე გადასასვლელი გამოცდები ივლისის 1-დან უკვე შესწყდა. გამოცდები 20 აგვისტოდან განახლდება.

✦ **საგუბერნიო ბათალიონის დაშლა.** მთავრობამ დაადგინა მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს გააუქმოს გუბერნიის ბათალიონი.

✦ **ქალაქის საავათმყოფოებში.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა ქალაქის საავათმყოფოებში საწოლებით სარგებლობისათვის დღიურათ 15 მანეთი დააწესოს. ღარიბ მოქალაქეთათვის უფასოთ დათმობილია 20 საწოლი.

✦ **ქალაქის გამგეობამ** მოისმინა რა ცნობა იმის შესახებ, რომ ზოგჯერ ქალაქის ფურნეებში ცუდათ აცხობენ პურს, დაადგინა: თუ განმეორდა კიდევ ასეთი რამ, დათხოვნილ იქნენ მუშები სალიკვიდაციოს მიუცემლათ.

✦ **ლექცია.** დღეს, საღამოს 6 ს., შესდგება ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალურ კომიტ. ბინაზე—(ეფრეიტორის ქუჩა № 2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ნიკიფ. იმნაიშვილის მორიგი ლექცია ფილოსოფიაზე.

✦ **კანტორა „განათლება“.** ყოფილ აგენტების საყურადღებოთ აცხადებს, რომ იმ აგენტების სახელი და გვარი, რომლებიც აგვისტოს 15-მდე ანგარიშს არ გაასწორებენ, გამოცხადებულ იქნება გაზეთებში.

✦ ფულის გამოუგზავნელობის გამო, დღეს გაზეთები უკანასკნელად ეგზავნება სოხუმში ესვანჯიას.

✦ მუშათა კლ[illegible] პროლეტ-კულტის სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება: „ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწინდნენ“, „დატრიალდა ჯარა“ და დივერტისმენტი. დასაწყისი 8 ნახევარ ს.

**კ რ ე ბ ე ბ ი**

დღეს, 24 ივლისს, საღამოს 7 ს. ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

— დღეს, 24 ივნისს, დღის 4 ს. შესდგება მეშვიდე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 6 ს. ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს სოც.-დემ მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, საღამოს 6 ს. ბიუროს ბინაზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მე-6 რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღ. 5. ს. ბუროს ბინაზე დანიშნულია საქ. სოც.-დემოკრატიულ მ. პ. მეოთხე რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა.

# უცხოეთი

**იტალიის ახალი სამინისტრო.**

ორლანდოს კაბინეთის გადადგომის შემდეგ, ახალი სამინისტროს შედგენა დაევალა ნიტტის, რომელმაც შემდეგი სამოქმედო პროგრამა წარადგინა: სრული ამნისტია, ცენზურის მოსპობა, ოქტომბერში ახალი არჩევნების მოხდენა პროპორციონალური სისტემით, შეთანხმება ამერიკის კაპიტალისტებთან იტალიისათვის სესხის აღების შესახებ. გაზეთ „ტანის“ გადმოცემით, დიდი დაბრკოლებანი გადალახა ნიტტიმ კაბინეთის შედგენის დროს. ერთის მხრივ დიდი უკმაყოფილონი იყვნენ მრეწველები არსებული მდგომარეობით, მეორეს მხრივ უკიდურესი ნაციონალისტები მუსოლინის მეთაურობით დიდ აგიტაციას ეწეოდენ ნიტტის წინაალმდეგ. მრეწველების გულის მოსაგებათ გადაწყდა მათი წარმომადგენლები მიიწვიონ სხვადასხვა კომისიებში სამუშაოთ. ამავე გაზეთის გადმოცემით ნიტტის იმედი აქვს, რომ სოციალისტური, წრეები მას მხარს დაუჭერენ. იმედი აქვს აგრეთვე, რომ კათოლიკების ჯგუფი მხარს დაუჭერს ისე, როგორც ჯგუფი ჯიოლიტისა.

„ტანში“ დაწვრილებით არის მოყვანილი ახალი სამინისტროს წევრების ბიოგრაფია, მსოფლმხედველობა და სხვა. ყველაზე ახალგაზრდა მინისტრებში არის ნიტტი. იგი 51 წლისაა. თავის საპარლამენტო მოღვაწეობის დასაწყისში ის სოციალისტურ პარტიაში ირიცხებოდა. მეფე გუმბერტის მოკვლის შემდეგ კი გამორიცხეს პარტიიდან, რადგანაც სამგლოვიარო პროცესიაში მიიღო მონაწილეობა. ნიტტი ჩაეწერა რადიკალების პარტიაში. ნიტტიმ პირველათ მთავრობაში მონაწილეობა მიიღო 1911 წელს. ჯიოლიტმა მას მიწადმოქმედების სამინისტრო მიანდო, დარჩა ამ თანამდებობაზე 1913 წ. ოქტომბრამდე. 1917 წელს მიიწვიეს ხელმეორეთ მთავრობაში ხაზინადრათ. 1919 წლის იანვარს ორლანდოსთან უთანხმოება მოუვიდა და დასტოვა სამინისტრო. ნიტტი მომხრეა, რათა ლათინთა შეკავშირებით სლავიანთა საფრთხე თავიდან იქნას აცილებული.

**გერმანიის შინაური მდგომარეობა.**

სტამბოლის გაზეთ „მონიტერ ორიენტალის“ 2 ივლისის ნომერში მოთავსებულია წერილი გერმანიის შინაური მდგომარეობის შესახებ. „გერმანიის დამფუძნებელი კრება შეუდგა გადასახადების ახალი კონსტიტ. შემუშავებას. გადასახადების საკითხი ძლიერ აღელვებს გერმანიის საზოგადოებრივ წრეებს გადასახადების რაოდენობა დიდი იქნება. რაც შეეხება კონსტიტუციას, ბევრი იმ აზრს იზიარებს, რომ მისი შემუშავება ნაადრევია. პირველ ყოვლისა უნდა დააბწიოს გერმანიამ თავი ეკონომიურ კრიზისს და პოლიტიკურ არეულ მდგომარეობას. ოპოზიცია კი, მომხრეა დაუყონებლივ შემუშავდეს კონსტიტუცია და მოხდეს ახალი დამფუძნებელ კრების არჩევნები. მთავრობას აზრათ აქვს გადასახადები გააწეროს, როგორც მდიდრებს, აგრეთვე ღარიბებს. სახელმწიფოს ბიუჯეტი გაიზრდება 15 მილიარდ მარკამდე. არა პირველ საჭიროების საგნებზე დიდი გადასახადი დაწესდება, გადასახადი დაწესდება პირველ საჭიროების საგნებზედაც. ძლიერ გადიდდება სააქციზო გადასახადი შაქარზე და თამბაქოზე. არა პირდაპირი გადასახადის დაწესება ძლიერ აღელვებს ღარიბ მცხოვრებლების ნაწილს, მდიდრები უკმაყოფილონი არიან პირდაპირი გადასახადის შემოღებით.

კლემანსომ შემდეგი აცნობა გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარეს: „მაქვს პატივი ვაუწყოთ, რომ თანახმად დროებით ზავის პირობებისა, გერმანიის ბლოკადა გრძელდება საზავო პირობების რატიფიკაციის გაცვლამდე. მაგრამ მოკავშირენი აცხადებენ, რომ ისინი მოხსნიან ბლოკადას თუ მიიღებენ ოფიციალურად რწმუნებას, რომ გერმანიის რესპუბლიკა მოახდენს საზავო ხელშეკრულების სწორ რატიფიკაციას.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბაქოს ესერების სიხარული.**

თავის კვირეულ მიმოხილვაში, ბაქოს ესერების 22 ივლისის „ზნამია ტრუდა“ ეხება რა როგორც „ცის“, ისე „ბარის“ ამბებს შემდეგ **სასიხარულო ამბავს** აუწყებს თავის მკითხველებს.

„ამიერ-კავკ. სასიხარულო მოვლენათა შორის საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართველი პროლეტარიატი გონს მოდის იმ ნაციონალისტური ჰიპნოზისაგან, რომლითაც ქართველმა მენშევიკებმა შებოჭეს ის. ამგვარ გამოფხიზლებაში უკანასკნელ როლს არ ასრულებენ ამხანაგი კომუნისტები, რომლებიც საქართველოში მუშაობენ და რომელთა წინაალმდეგ საქართველოს მთავრობა ისეთ ველურ ზომებს მიმართავს, რაიც შეეფერებოდა მხოლოდ ნიკოლოზის რეჟიმს“.

ასე ალტაცებით ეგებება ბალშევიკების ანუ ამხანაგი კომუნისტების მუშაობას გაზეთი საქართველოში. როგორ უცქერის იგივე გაზეთი ბალშევიკების მუშაობას ბაქოში?

მეთაურ წერილში „ზნამია ტრუდა“ ეხება ბაქოს პროლეტარიატის ახლანდელ მდგომარეობას, აღნიშნავს მის უკიდურეს გაჭირვებას და დასძენს: „ბაქოს პროლეტარიატის სისუსტე იმ შინაგანი კრიზისის ნაყოფია, რომელიც გამოწვეულია ბაქოს ბალშევიზმის დეზორგანიზატორული მუშაობით, რამაც სრულიად დაანგრია მუშათა ოჯახის მთლიანობა. ჩვენ არა ერთხელ მოგვიგონებია კომუნისტებისათვის, რომ მათი პოლიტიკა დამღუპველია მუშათა კლასისათვის და ახლა, როცა პროლეტარული მოძრაობის დამარცხება ჩვენთვის თვალხილული ფაქტია, საჭიროთ მიგვაჩნია გავაფრთხილოთ ბალშევიკები იმ ბოროტი ექსპერიმენტებისაგან, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ რეაქციისთვის და მეტად საზარალოდ დამთავრდება ის ბაქოს პროლეტარიატისათვის“.

ასე რომ, ის, რაც „ბოროტ ექსპერიმენტათ“ ითვლება ბაქოს პროლეტარიატისთვის ბალშევიკების მუშაობაში, ქართველი პროლეტარიატისთვის „გამოფხიზლება“ ყოფილა ნაციონალისტური ჰიპნოზისაგან.

მაგრამ, თუ დავუკვირდებით საქმის ვითარებას, განა ძნელი გამოსაცნობია, რას სწერს დენიკინის თანამგრძნობის კალამი?

ბალშევიზმის „ბოროტი ექსპერიმენტებით“ დანგრეულ საქართველოში იმედი აქვთ, ცოტა რამეს მთლად თუ არა, ნატეხად მაინც მიიღებენ „ზნამია ტრუდას“ ესერები!..

# სახელმწიფო უნივერსიტეტში

თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ მომავალი აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტათ ჩარიცხვა უნივერსიტეტში შეიძლება სამს ფაკულტეტზე: სიბრძნის მეტყველების, სამათემატიკო-საბუნების მეტყველო (საგრონომიო დარგითურთ) და საექიმოზე.

აღნიშნულ ფაკულტეტებზე მიიღებიან ყველა ის პირნი, განურჩევლად სქესისა, რომელთაც კურსი დაუსრულებიათ ერთ ერთ უმაღლეს ან საშუალო სასწავლებელში. ვისაც სტუდენტათ ჩარიცხვა სურს, ვალდებულია წარმოადგინოს არა უგვიანეს მარიამობისთვის გასულისა 1) თხოვნა, რომელშიაც აღნიშნული იქნება, რომელ ფაკულტეტზე უნდა მას ჩაწერა, 2) სიმწიფის მოწმობა, 3) მოწმობა დაბადებისა და 4) ასი მანეთი.

**სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის** პირველ სემესტრზე სტუდენტებს მიიღებენ საზოგადო წესით.

**სამათემატიკო - საბუნებისმეტყველო** ფაკულტეტის პირველ სემესტრზე იმ პირთ, რომელთაც ქალთა გიმნაზიებში მხოლოდ შვიდი კლასი აქვთ გათავებული, სტუდენტები მაშინ მიიღებენ, თუ მათემატიკიდან და ფიზიკიდან მათ დამატებითი გამოცდები ექნებათ ჩაბარებული ვაჟთა გიმნაზიების პროგრამებით. ვინაიდან ეს ფაკულტეტი სამს განყოფილებას შეიცავს, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და საგრონომიოს, თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს, რომელ განყოფილებაზე სურს მთხოვნელს ჩარიცხვა.

**საექიმო ფაკულტეტი** სტუდენტებს ღებულობს პირველს, მესამე და მეხუთე სემესტრზე.

პირველ სემესტრზე მიიღებიან, როგორც ნამდვილ სტუდენტად, ისე თავისუფალ მსმენელად, თუ რომელიმე ნამდვილ სტუდეტთაგანს ლათინური ენა არ უსწავლია, ვალდებული იქნება პირველი წლის განმავლობაში გამოცდა ჩააბაროს ამ საგანში. თავისუფალ მსმენელად მიიღებენ იმ პირთ, რომელთაც საშუალო სასწავლებლის ექვსი კლასი აქვთ გათავებული; მათი ნამდვილ სტუდენტად ჩარიცხვა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ისინი პირველი ორი წლის განმავლობაში სიმწიფის მოწმობას წარმოადგენენ.

მესამე სემესტრზე მიღებისათვის საჭიროა სტუდენტებს ჩაბარებული ჰქონდეთ პირველი ორი სემესტრის საგნები, ხოლო მეხუთე სემესტრზე მიღებისათვის—პირველი ოთხი სემესტრისა.

ჩაბარებული საგნების შესახებ ყოველმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს სათანადო მოწმობა; თუ რომელიმე საგანი ჩაუბარებელი აქვს სტუდენტს, ვალდებულია ჩააბაროს ეს საგანი უნივერსიტეტში არა უგვიანეს ენკენისთვის ბოლო რიცხვებისა, წინაალმდეგ შემთხვევაში ის დატოვებულ იქნება წინა სემესტრზე.

1—13 სექტემბრამდის მოხდება სტუდენტების ჩაწერა, ხოლო 15 სექტემბრიდინ დაიწყება ლექციების კითხვა.

**გამგეობა**

# ი ა ფ ი პ უ რ ი

თფილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება 25 ივლისიდან შეუდგება იაფ-ფასიანი პურის განაწილებას ფაბრიკა-ქარხნების და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებზე. გირ. ელირება 3 მ. 40 კ. დაწესებულებებს არა აქვთ უფლება პური 3 მ. 50 კ-ზე მეტად გაყიდონ. სულზე ნახევარი გირვანქა მიეცემათ დაწესებულებებს. აღნიშნულ დაწესებულებებმა დაჩქარებით უნდა წარადგინონ სასურსათო განყოფილებაში (სასახლის და შტაბის ქუჩის შესახვევი) შესაფერი განცხადებით და შემოწმებული სიები ოჯახის წევრთა რიცხვის ჩვენებით, 1919 წ. 1 სერიის შაქრის ბარათები და მოწმობა, რომლითაც წინეთ პურს იღებდენ. დამატებითი ბარათები არ მიიღებიან. პური მიეცემათ მუშა-მოსამსახურეებს ორი დღის შემდეგ ორდერის გამოწერიდან. კერძო დაწესებულებებს და ფაბრიკა-ქარხნებს მიეცემათ პური არა ნაკლებ 5 ფუთისა, ამიტომ მცირე რიცხოვანი დაწესებულებანი და ფაბრიკა-ქარხნები უნდა შეერთდნენ.

# მიტინგი მთავარ სახელოსნოში

17 ივლ. მთავარ-სახელოსნოსა. და დეპოს პროფეს. ორგანიზაციის ხელმძღვანელობით შესდგა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 2,500 მუშა. მიზეზი მიტინგისა იყო შემდეგი გარემოება: 4 ივლისს ორგანიზაციის დაუკითხავათ უპასუხისმგებლო ელემენტების მიერ მოწვეული იყო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 500-დე კაცი. მოეყვანათ სტურუა, მიკოიანი, რომელთაც გაეკეთებინათ მოხსენებები, როდესაც გაიგო პროფ. ორგან. გამგეობამ, რომ მის დაუკითხავათ მოეწვიათ მიტინგი, მან ამხ. სიხარულიძეს პირით გამოაცხადა იგი დახურულათ. ამ ინციდენტის შემდეგ მიეცათ საშუალება დემაგოგებს ათასნაირი ჭორები გაევრცელებინათ მუშებში, თითქო ჩვენ გვეშინოდეს სიმართლის, თითქოს ჩვენ ვიყოთ დამნაშავე მუშათა ყრილობის ჩაშლისა და არა ბალშევიკები.

ამ რამდენიმე დღის წინათ მთავარ სახელ. და დეპოს შეერთებულმა საბჭოს კრებამ დაადგინა მოიწვიოს მიტინგი და გააკეთოს მოხსენება ყრილობის ჩაშლის შესახებ და გამოარკვიონ ვინ იყო დამნაშავე, ჩვენ, თუ ბალშევიკები.

მიტინგი გახსნა პროფ. კავშ. თავმჯდომარემ ამხ. სიხარულიძემ. ის მოკლე მოხსენებას აკეთებს, თუ რა არის მიზეზი დღევანდელი მიტინგისა და სიტყვას აძლევს მომხსენებელ ამხ. ვ. ჯუღელს, მას აღფრთოვანებული ტაშით შეხვდენ მუშები. ვრცელ და შინაარსიანი მოხსენებაში ნათლათ დაასურათა მან ჩვენი მისწრაფება საერთო ფრონტისაკენ, საერთო მტრის, დენიკინის წინაალმდეგ. მაგრამ, სამწუხიროთ, ამბობს მომხსენებელი, ჩვენს მეგობრულათ გაშვერილ ხელს ბაქოელ ბალშევიკებმა მოჭრა მოუნდომეს: მათ დაისახეს მიზნათ არა ჩვენთან შეერთება და ჩვენთან ერთად დენიკინთან ბრძოლა, არამედ—ჩვენი დანგრევა, შიგნიდან ფრონტების გაჩენა. ათასნაირი ჭორებით აუბნიეს თვალები ბაქოს პროლეტარიატს და სურთ იგი ჩვენ წინაალმდეგ აამხედრონ.

შემდეგ ლაპარაკობს კომუნისტი სტურუა, რომლის სიტყვასაც არ შეხვდენ თანაგრძნობით მუშები.

ლაპარაკობს აგრეთვე ბერიშვილი (მუშა) ის მეტად აღელვებული აკრიტიკებს სტურუას სიტყვებს და აღნიშნავს, რომ მე მოწამე ვარ როგორ წამლავდა სტურუა ბაქოს მუშებს, როგორ უნერგავდა ზიზღს თფ. მუშების წინაალმდეგ. ბერიშვილი ამბობს, რომ სტურუას არ ჰქონია მიზნათ ჩვენთან კავშირის გაბმა, არამედ—მისი მიზანი იყო ჩვენი დანგრევა, მიწასთან გასწორებაო.

კამათის დასასრულს ორი რეზოლიუცია იქნა წარმოდგენილი—ვ. ჯუღელის და სტურუასი. პირველი (ე. ი. ვ. ჯუღელის რეზოლიუცია) იქნა ერთხმად მიღებული 7 წინააღმდეგ.

მეორე რეზოლიუციამ მიიღო 7 ხმა, 3 თავი შეიკავა.

ასე დასრულდა მიტინგი. კომუნისტები კი გაჰკიოდენ—თქვენ გეშინიათ სიმართლის, თორემ რატომ არ უშვებთ სტურუას სალაპარაკოდო. მისთვის ლაპარაკი არავის დაუშლია, მაგრამ ანარხისტული მიტინგების მოწვევის ნებას კი არავის მივცემთ. ვისაც მიტინგის მოწვევა უნდა, მიმართოს ორგანიზაციას. მანამ ორგანიზაცია უდგია საქმეს სათავეში, ორგანიზაციულად უნდა ხდებოდეს ყოველივე მიტინგი. **კ. ხონელი.**

# მილიციონერის თავხედობა

ერთმა მანდილოსანმა ჩვენს რედაქციაში შემდეგი წერილი შემოიტანა:

20 ივლისს, საღამოს 8 ნახ. საათ. პლეხანოვის პრ. მივდიოდი; რამდენიმე ახალგაზრდა ყმაწვილებს თავი მოეყარათ ერთად. ერთი მათგანი, დაინახავდა თუ არა ქალს, ან ხელს ახლებდა, ან არა და უწმაწურ სიტყვებს ეუბნებოდა, მე, ამ სურათის მნახველმა, უცებ იმათ წინ გავირბინე, რადგან სხვა გზა არ მქონდა. თავხედმა ხელის ხლება ვერ მოასწრო. ამხანაგებმა სიცილი მორთეს ამ სურათზე და თანაც უთხრეს: „ბიჭო, ერთი გაგექცაო“. თუმცა სიტყვა ბიჭო თავხედს არ ეკუთვნოდა, რადგან თმაში ჭაღარა გამორეოდა. მე დაიმედებული, რომ მშვიდობით გადავრჩი, „კირკაზე“ გავედი და განვაგრძე ჩემი გზა. ერთიც ვნახოთ, ვიღამაც მძლავრათ ხელი ჩამჭიდა, მოვიხედე და ისევ ის თავხედი იყო. რა თქმა უნდა, შემეშინდა და დავუწყე მილიციონერს ძახილი, რაზედაც მან გაიცინა და მიპასუხა: მილიციონერი მე თითონ გახლავარო და თანაც ქაღალდი მაჩვენა, გვარიც მითხრა, სახელიც, მაგრამ ისე აღელვებული ვიყავ, რომ ვერ დავიხსომე. არ ვიცი ეს ამბავი რით დამთავრდებოდა, რომ ერთ უცნობ სამხედრო პირს არ დავეხსენ ასეთი მდგომარეობიდან.

„დროა ყურადღება მიექცეს და აილაგმოს ამისთანა მილიციონერები თუ ქუჩის ხულიგანები“.

**სამსონ თაყაიშვილი**

ლიხაურის (გურია) ამხანაგებს ახალი უბედურება ეწვია. ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა საუკეთესო ამხანაგი სამსონ თაყაიშვილი. არ იყო არც ერთი ისეთი საქმე, რომ ის სათავეში არ სდგომოდეს.

ის იყო ს. ს. დ. მ. პარტიის ლიხაურის რაიონული კოლექტივის წევრი, ქარ. შ. წ. კით. გ. საზოგადოების გამგეობის წევრი, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, კოოპერატივის სარევიზიო კომისიის წევრი და სხვა.

ის დემოკრატიის საქმეებს პირნათლათ ემსახურებოდა და თავის პირად საქმეებს ყურადღებას არ აქცევდა.

გამოესალმა წუთი სოფელს ადამიანი, რომელმაც მთელი თავის სიცოცხლე, ჯანმრთელობა ხალხის სამსახურს შესწირა. ამხანაგი სამსონის ღვაწლს არ დაივიწყებენ ლიხაურის ამხანაგები და მისი ხსოვნა სამარადისოთ დარჩება მათში. **სიმონ სურგულაძე.**

# საადგილ-მამულო რეფორმა

**ჭიათურა-სახჩერის რაიონში** გასულ წელს, მიწების ჩამომრთმევ კომისიას ბევრი სამუ-

შაო დარჩა გასაკეთებელი, რომელიც ამ ზაფხულზე უნდა დამთავრებულიყო. ამ იმედით გლეხები კომისიას დღემდე გულის ფანცქალით ელოდენ, მაგრამ ამაოდ.

მართალია, ამ ორი თვის წინეთ სამაზრო ერობამ დანიშნა აღნიშნულ ორივე რაიონის მიწების ჩამომრთმევ კომისიების მდივნები და თვით კომისიებიც, მაგრამ დღემდე საქმეს არ შესდგომიან რის მიზეზითაც ახსნელებენ მიწის მზომელების არყოლას.

ამ ნიადაგზე ძალიან გახურებული შავრაზმული აგიტაცია სწარმოებს ზოგიერთ საზოგადოებაში, მათი აგენტებისა, რომელნიც უკმაყოფილონი არიან მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარებით.

აგიტაცია შემდეგ ნაირია: დაიწყეს, მაგრამ ველარ შესძლეს და ჩამორთმეულებსაც უკანვე დააბრუნებენო. ასეთმა პროვოკაციამ ზოგიერთ ადგილებში მემამულეთა სასარგებლოთ ნაყოფიც გამოიღო. ვინაიდან ზოგიერთ მიყრუებულ სოფლელ გულუბრყვილო გლეხს მართალი ჰგონია მემამულეებისაგან ჩუმად ყიდულობენ ადგილებს (რასაკვირველია შინაურულად, უკანონოთ).

თუმცალა ამით ხალხი არაფერს დაჰკარგავს და ასეთი წესით ნაყიდი ადგილები გლეხებს ყველა ჩამოერთმევათ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ ნიადაგზე უკმაყოფილება გაიზრდება და ამიტომ საჭიროა ასეთი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ეხლავე იქნეს ზომები მიღებული ვისგანაც ჯერ არს, რომ დაწყებული საქმე დროით დაბოლოვდეს და ამით დაუჯერებელი გლეხებიც დავარწმუნოთ რეფორმის სინამდვილეში და ამ თავაშვებულ პროვოკატორებსაც ერთხელ და სამუდამოთ ამით ლაგამი ამოედებათ.

ზემო-იმერელი.

---

## შრატის დასამზადებელი სადგური.

მიუხედავად იმისა, რომ რამოდენიმე ათეული წლებმაც კი განვლეს, რაც საქონლის ჭირი ესტუმრა ჩვენს მხარეს, მის მოსპობას მაინც ვერ ვღირსეთ. ეს სენი საქონლისა ყოფილა ევროპის სახელმწიფოებშიაც, მაგრამ იქ როგორც კულტურულ მხარეებში, მას ფეხი ვერ მოუდგამს და მალე ძირიანად აღ ოუხვრილა. ჩვენში კი, სამწუხაროდ, საქონლის ჭირმა საძირკველი ღრმად ჩაიყარა და დღითი-დღე ანადგურებს მეურნეობის ბურჯს მსხვილ რქოსან საქონელს და ხელიდან აცლის უკანასკნელ მარჩენალს, მუშა ხარს, მშრომელ ოჯახს. საქონლის ჭირის გავრცელების მიზეზი არის საჭირო ზომების მიუღებლობა. საქონლის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება შრატით აცრის საშუალებით, რასაც ძველი წესწყობილების დროს მოკლებულნი ვიყავით, ის ძრიელ ცოტა მზადდებოდა და მისი მოხმარება ცხოვრებაში ისეთი წესით ტარდებოდა, რომ ხალხი თვით გაურბოდა მით სარგებლობას. დღეს კი, თუ არა თვითმპყრობელობა, გაჰქრნენ ყველა ის დაბრკოლებანიც. და აი, სწორედ ამ დღიდან გაეხსნა სამუშაო ასპარეზი ვეტერინარიას და გამოიღო კიდეც ნაყოფი. გაიხსნა შრატის დასამზადებელი სადგური ქუთაისში. ხალხი, რომელიც წინად გაურბოდა საქონლის აცრას, დღეს იმდენად დაინტერესდა აცრით, რომ დაჟინებით მოითხოვს მას. შრატის მოთხოვნილებამ იმდენად იმატა, რომ სადგური ვერ აკმაყოფილებს მთხოვნელებს, რაც არა სასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ამან მიიქცა ყურადღება და გადაწყვეტილ იქნა სადგურის უფრო კარგ ალაგას გადატანა და გაფართოვება, გადაიდო საჭირო თანხა და არჩეულ იქნა სპეციალისტების გამოკვლევით ცხინვალის რაიონში მდებარე ფერმა, რომელიც ბუნებრივი მდებარეობით და ხელოვნურად მოწყობილ-მორთულობით უწყობს ხელს უმტკივნეულად სადგურის გადატანას და აი, სწორეთ საქმის ინტერესიც მოითხოვს სადგურის გადატანაში არ იქნეს შრატის დამზადება დიდი ხნით შეჩერებული.

იმედია, დასახული მიზანი დროით იქნება განხორციელებული, რაიც მოგვცემს საშუალებას ავიცილოთ თავიდან კარზე მომდგარი საქონლის გამანადგურებელი ჭირი.

სოფლელი.

# ს.-დ. პარტიაში

**გორი.** 17 ივლისს შესდგა გორის პირველ რაიონის სოც.-დემოკრატიული პარტიის წევრთა საზოგადო კრება, დაესწრო პარტიის წევრთა დიდი უმრავლესობა. კრება მოწვეული იყო გორის ს.-დ. კომიტეტის მიერ და გახსნა ამხ. მ. ჯავახიშვილმა: თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. მ. კობერიძე, მდივნათ ამხ. გ. ღვინიაშვილი. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება გორის ს.-დ. პარტიული კომიტეტისა, 2) მოხსენება მომენტზე, 3) მოხსენება სარევიზიო კომის. წევრისა და 4) კომიტეტის რეორგანიზაცია. კომიტეტის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მ. ჯავახიშვილმა.

მოხსენება მომენტზე გააკეთა ამხ. მ. ახალაძემ. კრებამ მოისმინა მოხსენება სარევიზიო კომისიის წევრის ამხ. მ. დოხნოჯგინიძის. ამის შემდეგ ფარული კენჭის ყრით კომიტეტში არჩეულ იქნენ: გ. გიუნაშვილი, მ. ახალაძე, მ. როსებაშვილი, გ. მეზაშვილი, მ. ხიტირია, ვ. ნავრაზაშვილი, ლ. შაქარიშვილი, მირზაშვილი, კ. მერებაშვილი. კანდიდატებათ: მ. ღვინიაშვილი, დ. მელქაძე, ნ. ბეგლარაშვილი და თ. ძანეზაშვილი. სარევიზო კომისიის წევრათ: მ. ვაჩეიშვილი, კანდიდატათ ა. კეკელიძე.

დამსწრე.

# პროვინცია

**ხონი.** ხონის საოსტატო სემინარია დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ერთად-ერთი სემინარიაა, რომელმაც გასული წლის განმავლობაში უკვე შესძლო სრული ნაციონალიზაციის გატარება და თანაც პირველად მოგვცა გადაკეთებულ (სასკოლო სასწავლებლად გადაქცეულ) სემინარიის კურს დასრულებული მასწავლებლები. იმედია, ეს მუშაობა მომავალშიც არ შეფერხდება. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ რაც შეიძლება მეტი მოსწავლე მოაწყდეს ამ სასწავლებელს, რათა ახლო მომავალში ჩვენმა სკოლამ შეიძინოს სათანადოთ მომზადებულ მასწავლებელთა კონტინგენტი. სემინარიას ყოველთვის ყოლია მოსწავლეთა საკმაო რიცხვი, ბევრი მსურველიც ვერ მოეთავსებია მას, მაგრამ დღევანდელ არა ნორმალურ პირობათა გამო; მოწაფეთა სიმრავლე საგრძნობლად შესუსტდა, რისი ერთი მიზეზთაგანი სიძვირის გამო სახაზინო პანსიონის მოსპობაა. მართალია, შეგირდებს არც დღეს ახდევინებენ სწავლის ფულს და თვიურად ხუთ თუმან სტიპენდიასაც კი აძლევენ, მაგრამ დღევანდელი სიძვირე მაინც თავისას შვრება და არა თუ საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან, თუნდაც ქუთაისის გუბერნიის მაზრებიდანაც კი ვერ ნახავთ აქ მოწაფეებს. ლეჩხუმი და რაჭა მაგალითად, სრულებით არ გზავნის შეგირდებს, მოისუსტებს აგრეთვე ზუგდიდი. ამ ნაკლის შესავსებათ საჭიროა, რომ რაჭა-ლეჩხუმის ერობები ეხლავე იზრუნებდენ იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი შეგირდი შევიდეს სემინარიაში ამ მაზრებიდან. სრულიად კანონიერი იქნებოდა, რომ ასეთ შეგირდებს ერობები სტიპენდიებსაც დაუნიშნავდენ. ერთის მხრივ ერობის დახმარება და მეორე მხრივ თითონ სემინარიის, საკმაოთ შეუმსუბუქებს შეგირდს მდგომარეობას და საშუალებას მისცემს სწავლა შეიძინოს. ამავე დროს სემინარიის პედაგოგიურ საბჭოს ადგილობრივ თვითმართველობასთან ერთად უნდა დაევალოს შეგირდებისთვის იაფი ბინისა და სადილის მოგვარების საქმე. უნდა აღიძრას კითხვა აგრეთვე ხონელ შეგირდებისათვის სტიპენდიების მოსპობის შესახებ. ადგილობრივნი იმითაც უნდა იყვენ მადლიერნი, რომ თავის სახლში, სწავლის ფულის გაუღებლად (გიმნაზიაში 500 მანეთია წლიურად) საშუალო განათლებას სძენენ შვილებს. სტიპენდია ხონელებზე მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში უნდა იხარჯებოდეს, მათ მაგიერ ღარიბ და მივარდნილ სოფლებიდან ჩამოსულ შეგირდებს უნდა ხმარდებოდეს ეგ ფულები.

ეული.

---

**დერბის** საზოგადოებაში 12 ივლისს, (ზემო გომის რაიონია) სოფ. ძველეთში ადგილი ჰქონდა შემდეგს: სოფ. ძველეთში მოვიდა რაიონის კომისარი თოთლაძე, გლეხებს მოუყარა თავი და გამოუცხადა, რომ აქ ვიღაცეებს გიორგი ტატიშვილის ღალები გმართებთ რევოლიუციის დაწყებიდან, ე. ი., ორი წლისა და წელს უნდა გადაიხადოთო. მხოლოდ ვინც არ გადაიხდის, ის გორში გაიგზავნებაო და სხვ. აგრეთვე მან წაიკითხა გიორგი ტატიშვილის მიერ მიცემული სია: 1) კოტე, ბითო, სოლომონ და ნესტორ ქოქოშვილებზე ორი წლის ღალა თოთხმეტი კოდი პური, 2) სოლომონ და იაკოფა გაბარაშვილებზე ორი წლისა ათი კოდი, 3) ვანო და ლადო გოინაშვილები ორი წლისა ოცდა აიი კოდი და სხვ.

საკვირველი ის არის, რომ მიწის ჩამომრთმევი კომისია ჯერ ეხლა მივიდა ხსენებულ საზოგადოებაში და ნორმებს ეხლა უჩენს ყოფილ მემამულეებს; ასეთ მოთხოვნას ღალებისას არც ბოლო უჩანს, არც თავი. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა... ბ.ბ. ტატიშვილები ნორმებს იღებენ ისეთ ადგილებში, სადაც არსებულ კანონს ეწინააღმდეგება. მაგ. გლეხს თავისი ხელით გაუშენებია მამული და შიგ ცხოვრობს მხოლოდ მემამულე კი ასეთ ადგილს იღებს ნორმაში, აქაო და მე ნება მაქვს, სადაც მინდა იქ ავიღო ჩემი ნორმა ყოფილ მამულზეო და სხ. ამან ხსენებულ საზოგადოების გლეხობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და საჩივრებიც აღძრეს სამინისტროს წინაშე. მათში პროვოკაციასაც აქვს ადგილი, რომ თითქოს აბრუნდება ის დრო, როდესაც ისევ უნდა გაბატონდნენ ყოფილი თავად აზნაურობაო და სხვ.

დღეს ხალხის მტრები სწორედ იქ დათარეშობენ, სადაც ხალხი კულტურულათ ჩამორჩენილია. და აი, ერთი ასეთი ჩამორჩენილი ადგილთაგანია დერბის საზოგადოებაც.

საჭიროა ასეთ უსამართლობას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

ბ. რაიონის კომისარი ამბობს, რომ ღალების შესახებ ზემო ხსენებულ გლეხებზე მას სასტიკი მოწერილობები აქვს მაზრის კომისრის მოადგილე ბ. ქუმარიტაშვილისაგან და თავის თავს დამნაშავეთ არა სცნობს.

სოფლელი.

---

**თავსურები** (გურია). არ შემიძლია არ ავღნიშნო მწუხარებით ერთი რამ თავ-სურების კოოპერატივის ცხოვრებიდან. სურების საზოგადოებაში ეს სოფელი ყველაზე უფრო მდიდარია სიმინდით და ამ სოფლის კოოპერატივშიც ბლომათ დაგროვდა ის, მაგრამ, საუბედუროთ, დამშეული ხალხი, ადგილობრივი ან სხვა სოფლებიდან მას ვერ ყიდულობენ. მიზეზი? „გაუწერელია სიმინდი“-ო. ერთიც ვნახოთ, ვეღირსეთ გაწერასაც, მაგრამ ასი (100) მან. ფუთი სიმინდი იმ დროს, როდესაც აქ სიმინდი ნაყიდი იყო ამავე სოფლის მცხოვრებთაგან 30 მან.—40—50 და 60 მან. ასე რომ, უხარჯო საქონელზე პირისპირი მოსაგები გაუწერიათ. სთხოვა მეზობელმა კოოპერატივმა დაეთმო სიმინდი უფრო იაფ ფასებში, მაგრამ უარი უთხრეს. აქედან აშკარაა, რომ ამ კოოპერატივის გამგეობას კოოპერატივის ინტერესი და მიზანი არ სცოდნია. კოოპერატივი უნდა ცდილობდეს სურსათი იაფ ფასებში მიაწოდოს ხალხს. ამის მაგივრათ კი, გამგეობა აწვდის ხალხს უფრო ძვირ ფასებში, ვიდრე კერძო პირებიდან იშოვება, მიუხედავათ იმისა, რომ მათ საუკეთესო საშუალება ჰქონდათ: (იაფათ იყო ნაყიდი) ეხლა ასე გამოდის. ამ კოოპერატივმა არ გაყიდა სიმინდი, არც გააწერა მას, სანამ მაღალი ფასები არ გაჩნდა ბაზარზე. უნდა მიექცეს მას ჯეროვანი ყურადღება.

ერთათ-ერთი.

---

**სოფ. ზემო-ავჭალის** საკულტ. განმან. საზოგად. „განთიადის“ გამგეობამ 20 ივლისს გამართა „ფრონტის დღე“. შემოვიდა: 1) ბუფეტიდ. 1063 მ., 2) წარმოდგ. 357 მ., 3) შემოწირულება—132 მ., 4) ლატარია 92 მ. სულ—1644 მ. გასავალი იყო: 1) ბუფეტის მოსაწყობათ. 829 მ. 50 კ., 2) წარმოდ. მოსაწყ. 30 მ., სულ—859 მ. დარჩა წმინდა შემოსავალი 784 მ. 50 კ., რაიცა წარდგენილ იქნა მთავარ კომიტეტში, მასთან არის ყულაბიც № 126122 ავჭალაში შეწირულების შესაკრებათ ჩამოტარებული.

X.

# თეატრი და მუსიკა

**სახალხო თეატრის** დასმა მოიარა: გორი, გომი, ხაშური, სურამი, ბორჯომი და წაღვერი, სადაც იაფ ფასიანი წარმოდგენები გამართა. ხალხი წარმოდგენებს ბევრი არ ესწრებოდა, ტეხნიკურ მოუწყობლობის გამო, მაგრამ დამსწრენი მეტად ნასიამოვნები რჩებოდნენ. განსაკუთრებით—ხაშურის, გორის და გომის ოვაციებს საზღვარი არა ჰქონდა. დასი გუშინ წინ დაბრუნდა თფილისში. გამგეობა მადლობას უცხადებს: ხაშურის, სურამის და წაღვერის თეატრების გამგეობებს—თეატრის სრულიად უფასოდ დათმობისათვის; ანნა და კოლა ელიოზიშვილებს, ნ. პატარიძეს, მარ. ქურდევანიძისას, ქ. ჩოჩიევისას, ალ. კვალიაშვილს და სხვათ—ღამის სათევ ბინის დათმობისა და სურსათით უფასოდ პატივსცემისათვის და მიხ. კავსაძეს—ჩოხების თხოვებისათვის.

# წერ. რედაქციის მიმართ

გთხოვთ მახლობელ ნომერში მოათავსოთ შემდეგი: უკრაინის მისიის უფროსისაგან სამხედრო მინისტრს მოუვიდა ვოლგა-კამის ბანკის ჩეკი № 770/303—5000 მან. „ფრონტის დღის“ ფონდის გასაძლიერებლად. მისიის სამხედრო ატაშეს და გენერალურ საკონსულოს მოსამსახურეთაგან შემოწირული, რაიც ამასთანავე ერთად გაეგზავნა „ფრონტის დღის“ მომწყობ მთავარ კომიტეტს.

სამხედრო სამინისტრო ულრმეს მადლობას უძღვნის უხვ შემომწირველთ.

გენერალ-მაიორი ქავთარაძე.
მოლარე ვ. მეტრეველი.

# განცხადებანი


**22 ივლის დაჰკარგე:** უვადო პასპორტი, რევოლვერის ტარების ნებართვა ჩემი სურათით, ს.-დ. პარტიული წიგნაკი მე-6 რაიონის კოლექტივის მიერ მოცემული და სხვა. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: სომხის ბაზარი, № 43, შაქრო გ. ანდრაზაშვილს. (2—1)

---

24 ივლისს 1919 წელს ელისაბედის ქუჩაზე სახლი № 157 იხსნება

**დიდუბის კერძო საავადმყოფო** [სამკურნალო]

გარედან მოსიარულე ყოველნაირ ავადმყოფთათვის. ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღ. 8 საათამდე. (2—1)

---

**სამხედრო ხე-ტყის ქარხანა**

ამით აცხადებს, რომ იგი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს აძლევს ყოველგვარ დახერხილ ხის მასალას დაკლებულ, ხელმისაწვდომ ფასებში. (5—3)

---

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ბ. მებრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა სხივებით, დიდი სალვარსანი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

---

საექიმო კაბინეტი
**ექიმ ძ. თ. ტყეშელაშვილის**

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვაგვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესო ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

---

**ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

---

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

---

**ექიმი მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

---

**ექიმი ლ. ი. ჯაფარიძე**

ლეჩულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

---

**თფილისის უმაღლესი საინჟინერო სასწავლებელი**

სასწავლებლის საბჭოს დადგენილებით გამოცხადებულია თხოვნების მიღება 1 და 2 კურსზე:

**სამშენებლო და მექანიკურ**

განყოფილებაზე. სწავლის გადასახადი 700 მანეთია. თხოვნების მიცემა დირექტორის სახელზე შემდეგი დამატებით: 1) მეტრიკული მოწმობა, 2) გათავების მოწმობა სავაჟო ან საქალო საშვალო სასწავლებლის, 3) 2 ფოტოგრაფიული სურათი, 4) გადასახადი ნახევარი წლის 350 მ. თხოვნებს იღებენ დროებით კანცელარიაში ტეხნიკურ სასწავლებელში (ველიკოკნაჟ. ქუჩა № 70) 10 საათ.—1 საათ. ყოველ დღე გარდა უქმისა. ვაკანსია სასწავლებელში არის 200, 100 თითო განყოფილებაში. სტუდენტები იქნებიან ჩარიცხული რიგ-რიგად, თხოვნების მოტანის გვარათ. ვისაც სურს დაამთავროს გიმნაზიის კურსი მატემატიკაში, მათთვის სწავლა იწყება ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში, სწავლის ფული 75 მან.

(1—1) საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი პ. ლუკინი.